სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

19 / თებერვალი / 2025 წ.

KA080173721803625

№ **614**

განკარგულება

შპს „4 ჰოსპიტალსის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;

ტენდერის ნომერი: NAT240009540;

შესყიდვის ობიექტი: 33100000 – სამედიცინო მოწყობილობები;

მიმწოდებელი: შპს „4 ჰოსპიტალს“ (ს/ნ: 405022899);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2025 წლის 16 იანვარს წარმოდგენილ იქნა სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ 2025 წლის 16 იანვრის № NCDC22500033575 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 309), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „4 ჰოსპიტალსის“ (ს/ნ: 405022899) მიერ NAT240009540 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 13 ივნისის № GF-C/T/ET/G-1157 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის tatia.tarkhnishvili@4hs.ge მეშვეობით, 2025 წლის 20 იანვრის № 141 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2025 წლის 27 იანვარს წარმოადგინა 2025 წლის 27 იანვრის განმარტება (რეგისტრაციის №712) 2024 წლის 13 ივნისის №GF-C/T/ET/G-1157 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით.

1.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2025 წლის 14 თებერვალს, სააგენტოს 2025 წლის 10 თებერვლის № 390 წერილის პასუხად, წარმოადგინა 2025 წლის 14 თებერვლის № NCDC62500173448 დამატებითი ინფორმაცია

(რეგისტრაციის № 1559) NAT240009540 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 13 ივნისის № GF-C/T/ET/G-1157 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2024 წლის 13 ივნისის № GF-C/T/ET/G-1157 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის დამატებითი ინფორმაციით, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ორი ერთეული ორთქლის ვერტიკალური სტერილიზატორის მიწოდებაზე. სატენდერო დოკუმენტაციის ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა, რომ აპარატს უნდა ჰქონოდა „წყლის დონის ავტომატური რეგულირება“ და „სასტერილიზაციო კამერიდან გამოყოფილი ორთქლის კონდენსირების სისტემა - ცივი წყლის საშუალებით ან ანალოგიური, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გამოყოფილი ორთქლის გაციება შემდგომში სტანდარტული საკანალიზაციო მილში ჩადინებისას“. პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სატენდერო წინადადებაში მითითებულია, რომ აპარატს გააჩნია ორივე ფუნქცია. მიმწოდებელმა 2024 წლის სექტემბერში შემსყიდველ ორგანიზაციას მიაწოდა ორი ერთეული ვერტიკალური ავტოკლავი. ინსპექტირებისას აღმოჩნდა, რომ:

– აპარატს არ გააჩნია წყლის დონის ავტომატური რეგულირება და საჭიროებს წყლის რეზერვუარის ხელით შევსებას მითითებულ ნიშნულამდე:

– აპარატს არ გააჩნია სასტერილიზაციო კამერიდან გამოყოფილი ორთქლის კონდენსირების სისტემა – ცივი წყლის საშუალებით ან ანალოგიური, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გამოყოფილი ორთქლის გაციება შემდგომში სტანდარტული საკანალიზაციო მილით გამოსაყოფად. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად აპარატს გააჩნია ჩვეულებრივი დამცლელი ონკანი, რომელიც პროცესის დასრულების შემდგომ საჭიროების მანუალურ მომსახურებას (დამატებით ინფორმაციას ერთვის ფოტო მასალა).

შემსყიდველი ორგანიზაცია განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული შეუსაბამობების გამო ვერ მოხერხდა აპარატის მიღება და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მიჩნეულ იქნა შეუსრულებლად.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელი არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებას და განმარტავს შემდეგს:

– წყლის დონის ავტომატური რეგულირებასთან დაკავშირებით – მიწოდებულ ავტოკლავს გააჩნია წყლის ადუღების კამერაში დონის ავტომატური რეგულაცია, რაც გულისხმობს იმას, რომ ავტომატურად გადააქვს პირველადი რეზერვუარიდან შესაბამისი რაოდენობისა და მოცულობის წყალი, ამის შემდეგ, ამ ადუღების კამერაში ხდება წყლის ორთქლად გადაქცევა და შეშვება სასტერილიზაციო კამერაში. სატენდერო პირობებში არ ყოფილა ხაზგასმა იმასთან დაკავშირებით, რომ წყლის დონის ავტომატური რეგულირება ეხება იმ რეზერვუარს, სადაც ხორციელდება წყლის პირველადი განთავსება. შესაბამისად, დასტურდება, რომ მის მიერ მიწოდებულ აპარატს გააჩნია წყლის დონის ავტომატური რეგულირება და შეესაბამება სატენდერო პირობებში აღწერილ სპეციფიკაციას;

– სასტერილიზაციო კამერიდან გამოყოფილი ორთქლის კონდენსირების სისტემასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს გამოყოფილი ორთქლის გაციება და შემდგომში საკანალიზაციო მილში ჩადინება – მიწოდებულ ავტოკლავს გააჩნია სასტერილიზაციო კამერიდან გამოყოფილი ორთქლის კონდიცირების სისტემა, კერძოდ, სტერილიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ ხორციელდება მასში არსებული ორთქლის გაგრილება და ხდება მისი კონდენსატის სახით ჩადინება წყლის პირველად რეზერვუარში (შესაძლებელია ამავე კონდენსირებული წყლის კვლავ გამოყენება სტერილიზაციის შემდგომი პროცესებისათვის). პირველად ჭურჭელში დაბრუნებული კონდენსატი თავისთავად არის გაგრილებული და შესაძლებელია მისი გაშვება ცენტრალურ საკანალიზაციო მილებში. ამისათვის აპარატის გამშვები არხი მილით ერთდება ამ საკანალიზაციო სისტემაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელი მიიჩნევს რომ მან ჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და არ უნდა განხორციელდეს მისი შავ სიაში რეგისტრაცია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2024 წლის 13 ივნისს, NAT240009540 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა“ და შპს „4 ჰოსპიტალსს“ (ს/ნ: 405022899) შორის დაიდო № GF-C/T/ET/G-1157 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს 90 კალენდარულ დღეში შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა 2 კომპლექტი ორთქლის სტერილიზატორი (ავტოკლავი) ვერტიკალური. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 17 000 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2024 წლის 30 ნოემბერი.

4.2. სატენდერო დოკუმენტაციის 1.2. პუნქტის თანახმად,

– წყლის დონის ავტომატური რეგულირება: აუცილებელია;

– სასტერილიზაციო კამერიდან გამოყოფილი ორთქლის კონდენსირების სისტემა: აუცილებელია ცივი წყლის საშუალებით ან ანალოგიური, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გამოყოფილი ორთქლის გაციება შემდგომში სტანდარტული საკანალიზაციო მილში ჩადინებისას.

4.3. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 4 სექტემბრის ინსპექტირების აქტში აღნიშნულია, რომ განხორციელდა მიმწოდებლის მიერ 2024 წლის 30 აგვისტოს მიწოდებული საქონლის (2 კომპლექტი ორთქლის სტერილიზატორის (ავტოკლავი) ვერტიკალური) ინსპექტირება, რა დროსაც დადგინდა, რომ

– აპარატს არ გააჩნდა წყლის დონის ავტომატური რეგულირება, საჭიროებდა წყლის რეზერვუარის ხელით შევსებას მითითებულ ნიშნულამდე სათლის მეშვეობით;

– აპარატს არ გააჩნდა სასტერილიზაციო კამერიდან გამოყოფილი ორთქლის კონდენსირების სისტემა – ცივი წყლის საშუალებით ან ანალოგიური, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გამოყოფილი ორთქლის გაციება შემდგომში სტანდარტული საკანალიზაციო მილით გამოსაყოფად. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად აპარატს გააჩნდა ჩვეულებრივი დამცლელი ონკანი, რომელიც პროცესის დასრულების შემდეგ საჭიროებდა მანუალურ მომსახურებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ ჩაიბარა მიწოდებული საქონელი.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 13 სექტემბრის №NCDC72400968349 წერილში აღნიშნულია, რომ მიმწოდებელმა 2024 წლის 11 სექტემბერს შემსყიდველ ორგანიზაციას მიაწოდა 2 ვერტიკალური ავტოკლავი, რომელთა ინსპექტირებისას აღმოჩნდა, რომ

– აპარატს არ გააჩნდა წყლის დონის ავტომატური რეგულირება და საჭიროებდა წყლის რეზერვუარის ხელით შევსებას მითითებულ ნიშნულამდე სათლის მეშვეობით;

– აპარატს ასევე არ გააჩნდა სასტერილიზაციო კამერიდან გამოყოფილი ორთქლის კონდენსირების სისტემა – ცივი წყლის საშუალებით ან ანალოგიური, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო გამოყოფილი ორთქლის გაციება შემდგომში სტანდარტული საკანალიზაციო მილით გამოსაყოფად. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად აპარატს გააჩნდა ჩვეულებრივი დამცლელი ონკანი, რომელიც პროცესის დასრულების შემდგომ საჭიროებდა მანუალურ მომსახურებას.

ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ ჩაიბარა მიწოდებული საქონელი.

4.5. მიმწოდებელმა 2024 წლის 26 სექტემბრის წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას, 2024 წლის 13 სექტემბრის წერილის პასუხად, აცნობა, რომ არ ეთანხმებოდა ხსენებულ წერილში მითითებულ გარემოებებს, კერძოდ:

– სატენდერო პირობებში არსად იყო დაკონკრეტებული, რომ ავტომატური დონის რეგულირება ეხებოდა იმ რეზერვუარს, სადაც ხდება წყლის პირველადი განთავსება. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ მოცემულ შემთხვევაში წყლის ჩასხმა უნდა მოხდეს მანუალურად, თუმცა, აღნიშნულ აპარატს გააჩნია წყლის ადუღების კამერაში დონის ავტომატური რეგულაცია, რაც გულისხმობს იმას, რომ ავტომატურად გადააქვს პირველადი რეზერვუარიდან შესაბამისი რაოდენობისა და მოცულობის წყალი, რის შემდეგაც ხდება ამ ადუღების კამერაში ხდება წყლის ორთქლად გადაქცევა და შეშვება სასტერილიზაციო კამერაში;

– აპარატს აქვს სასტერილიზაციო კამერიდან გამოყოფილი ორთქლის კონდენსირების სისტემა, კერძოდ, პროცესის დასრულების შემდეგ მასში არსებული ორთქლის გაგრილებას ახდენს სპეციალურად ამისთვის დამონტაჟებული ე.წ. „ქულერი“, რომელიც აგრილებს ორთქლს და ხდება მისი კონდენსატის სახით ჩადინება წყლის პირველად რეზერვუარში. ტექნიკური მონაცემებით ასევე შესაძლებელია ამავე კონდენსირებული წყლის კვლავ გამოყენება სტერილიზაციის შემდგომი პროცესებისათვის. პირველად ჭურჭელში დაბრუნებული კონდენსატი თავისთავად არის გაგრილებული და ყველანაირი სირთულისა და დაბრკოლების გარეშე შესაძლებელია მისი გაშვება ცენტრალური წყალარინების (კანალიზაციის) მილებში, რისთვისაც საჭიროა აპარატის გამშვები არხი მილით (ან შლანგით) დაერთდეს ამ საკანალიზაციო სისტემაზე.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ამავე წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი სრულად შეესაბამებოდა სატენდერო პირობებს.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 18 დეკემბრის № NCDC62401341063 წერილით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (მიწოდებული საქონელი არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს), რის გამოც დაეკისრა პირგასამტეხლო.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „4 ჰოსპიტალსს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებასა და 2024 წლის 26 სექტემბრის წერილში მითითებულ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ, როგორც საქმის გარემოებებით ირკვევა, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიწოდებულ საქონელს – აპარატს არ გააჩნდა წყლის დონის ავტომატური რეგულირება, საჭიროებდა წყლის რეზერვუარის ხელით შევსებას მითითებულ ნიშნულამდე სათლის მეშვეობით, ასევე, აპარატს არ გააჩნდა სასტერილიზაციო კამერიდან გამოყოფილი ორთქლის კონდენსირების სისტემა – ცივი წყლის საშუალებით ან ანალოგიური, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გამოყოფილი ორთქლის გაციება შემდგომში სტანდარტული საკანალიზაციო მილით გამოსაყოფად, აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად აპარატს გააჩნდა ჩვეულებრივი დამცლელი ონკანი, რომელიც პროცესის დასრულების შემდეგ საჭიროებდა მანუალურ მომსახურებას. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ ჩაიბარა მიწოდებული საქონელი. ამდენად, დასტურდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2024 წლის 13 ივნისის № GF-C/T/ET/G-1157 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, შესაბამისად, არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შესრულდა არაჯეროვნად, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში იძებნება ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად შესრულებული არაერთი ხელშეკრულების შესახებ, კერძოდ, მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

არანაკლებ 20 ხელშეკრულება და, შესაბამისად, კმაყოფილდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „4 ჰოსპიტალსის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „4 ჰოსპიტალსს“ (ს/ნ: 405022899) 2025 წლის 20 თებერვალს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ხელმოწერილია/ მტამპდასმულია ელექტრონულად ლევან რაზმაძე